

ვერა ძველაია  
სტუდენტობის დოქტორანტი;  
რევაზ შენგელია  
ემდ, სტუ პროფესორი

HUMAN CAPITAL AS AN INVESTMENT OBJECT

Vera Dzvelaia, PhD Student ,  
Georgian Technical University;  
Revaz Shengelia, , PhD in Economics,  
Professor of GTU, Scientific Supervisor

Under the market economy, special importance is given to investments and a favorable investment environment. The main thing is to correctly select an investment object. In our century, when competition is very intense, it is necessary to invest in such areas that will bring profit to some sector of economy and, in general, the country. Intellectual capital is the main wealth of modern society. The ability of the economy to create and effectively utilize intellectual capital, increasingly determines the economic power of the nation and its welfare. Knowledge and storage. The activities related to the transfer and use acquire the first importance In terms of high-tech production, Georgia is in the group of backward countries. A special role should be given to the knowledge, semo action and creativity of the new creation, which is the basis for the economic development of the country.

**საკვანძო სიტყვები:** ინვესტიციები, ადამიანის-სული კაპიტალი, ინოვაციები, კონკურენტუნარიანობა, კრეატიული ადამიანი, უახლესი ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე განისაზღვრება ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დანერგვის ტემპებით და მეცნიერებატევადი წარმოების განვითარებით,ინოვაციური პროცესების ეფექტიანობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციებსა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას. მთავარია, სწორად შეირჩეს ინვესტირების ობიექტი და დაცული იყოს ყველა მხარის უფლება. ჩვენს საუკუნეში, როდესაც კონკურენცია ძალზე მძაფრია, აუცილებელია, ინვესტიციები ჩაიდოს ისეთ სფეროებში, რაც მოგვას მოუტანს ეკონომიკის ამა თუ იმ დარგს და, ზოგადად, ქვეყანას. დღეს ეკონომიკაში ფასეულია ხარისხი, ნოუ-ჰაუ, მონიწივე ტექნოლოგიები, რითაც შესაძლებელია ტექნოლოგიური უპირატესობის მიღ-

ნევა. მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყანა ემყარება ბიოტექნოლოგიების, ნანოტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის უახლეს მიღწევებს, რაც მას მსოფლიო ბაზარზე ლიდერის პოზიციაში აყენებს.

ინტელექტუალური კაპიტალი თანამედროვე საზოგადოებაში ძირითადი სიმდიდრეა. იგი განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემების კონკურენტუნარიანობას, გამოდის ზრდისა და განვითარების მთავარ რესურსად, რამდენადაც თავიანთი უნიკალური ბუნების გამო, სწორედ არამატერიალური ხასიათის ფაქტორები განსაზღვრავენ სანარმოთა კონკურენტულ უპირატესობებს ბაზარზე. მისი მემკვიდრეობით, ქვეყნის ეკონომიკა უფრო ინფორმატიკატევადი, მაღალტექნოლოგიური და ინოვაციებზე ორიენტირებული ხდება.

ეკონომიკის უნარი , შექმნას და ეფექტიანად გამოიყენოს ინტელექტუალური კაპიტალი, სულ უფრო მეტად განსაზღვრავს ერის ეკონომიკურ ძალას და მის კეთილდღეობას. ცოდნის წარმოებას, შენახვას, გადაცემასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობა პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. განსაკუთრებული როლი განათლებას ენიჭება, რომლის ხასიათი და მნიშვნელობა სწრაფად იცვლება. განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ კონცეფციას: „განათლება სიცოცხლის მანძილზე“, რომლის თანახმადაც ყოველმა სპეციალისტმა თავისი შრომითი საქმიანობის პროცესში 5-8-ჯერ მაინც უნდა აიმაღლოს კვალიფიკაცია.

ბაზრის გლობალიზაციამ, ფირმების რიცხვის ზრდამ, ბაზრებზე გასვლის ახალმა ტექნოლოგიებმა, მზარდმა გავლენამ აქციონერების მხრიდან - განაპირობა ჰიპერკონკურენციის წარმოქმნა. ამასთან დაკავშირებით, კონკურენტულ ბრძოლაში მთავარი ინსტრუმენტი ხდება მომხმარებელზე ორიენტაცია, მისი ინდივიდუალური მოთხოვნების უფრო სრული გათვალისწინება, ასევე ბიზნეს-პროცესების მუდმივი სრულყოფა. როგორც პირველი, ასევე მეორე სტრატეგია მოითხოვს ინტელექტუალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

ჩვენს წინაშეა მთელი რიგი გამოწვევებისა, მათ შორის: კონკურენციის გაძლიერება, ტექნოლოგიური ცვლილებების ახალი ტალღა, ადამიანისული კაპიტალის, როგორც ეკონომიკური განვითარების ფაქტორის, როლის ზრდა და ა.შ.

თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვანწილად განისაზ-

ღვრება პროფესიონალური კადრების ხარისხით. განვითარებული ქვეყნები ძირითად აქცენტს აკეთებენ ქვეყნის მოსახლეობის მოაზროვნე ნაწილზე. ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მოსახლეობას აქვს პოტენციალი, შექმნას კრეატიული საზოგადოება, რომელიც გახდება ქვეყნის განვითარების საფუძველი. თუმცა ქვეყანა რომ გახდეს კრეატიული, ამისათვის ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი, ხელი შეუწყოს კრეატიულად მოაზროვნე ადამიანებს და შექმნას მიმზიდველი პირობები მათთვის, როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე ინტელექტუალური განვითარების კუთხით. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენთან ასეთი პირობები არ არის და მოსახლეობაც ამიტომ არ არის დაინტერესებული, ამ მიმართულებით განვითარდეს. სწორედ ესაა ერთერთი ძირითადი მიზეზი „ტვინების გადინებისა“.

დღევანდელ რეალობაში წინა პლანზე სწორედ ცოდნის დაგროვებამ გადმოინაცვლა, პრიორიტეტი ენიჭება ინტელექტუალურ კაპიტალს, კრეატიულ ადამიანს, მონივნავს ტექნოლოგიებსა და, ზოგადად, ინოვაციებს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია, მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ეკონომიკის ყველა დარგში. ისინი ცდილობენ, განავითარონ ერთი ან რამდენიმე დარგი ანუ მოიპოვონ საერთაშორისო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობა. თუმცა ჩვენი საუკუნე ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს, ვინაიდან XXI საუკუნე აღიარებულია ცოდნის, ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ. დღეს ეკონომიკაში უფრო და უფრო მინიშვნელოვანი ხდება შემოქმედებითი ადამიანი, მონივნავს ტექნოლოგიები, რითაც შესაძლებელია კონკურენტული უპირატესობის მიღწევა. ამიტომაც დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია თანდათან ადგილს უთმობს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის თეორიას. ამ მხრივ კარგი მაგალითია ირლანდია, როგორც მიმზიდველი ქვეყანა ინოვაციური კაპიტალ-დაბანდებებისთვის, რამაც შედეგად მის განვითარებას შეუწყო ხელი.

ადამიანური რესურსი ძალზე მნიშვნელოვანი რესურსია, ამიტომ იგი ინტერესის საგანი იყო ყოველთვის. ცოდნის ეკონომიკის თავისებურება გახლავთ ის, რომ ვინმესთვის ცოდნის გადაცემის დროს იგი კი არ იკარგება, კი არ ქრება, კი არ იხარჯება, პირიქით, არსებული ცოდნა კიდევ უფრო იხვეწება, სრულყოფილი ხდება და მის მესაკუთრესთან გამდიდრებული რჩება. ცოდნის ეკონომიკას ახასიათებს „ქოლგური“ ეფექტი. იგი თავისი „მფარველობის“ ქვეშ აქცევს მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში არსებითი ხასიათის იდეებს და მათ ერთიან სისტემად აყალიბებს. მიკრო-

ღონეზე თუ განვიხილავთ სიტუაციას, ცნობილია, რომ კვალიფიციური მენეჯმენტის შემთხვევაში, ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირებულიდან მიღებული მოგება თითქმის 2-ჯერ აღემატება ტექნიკაში დაბანდებულიდან მიღებულ სარგებელს. ამიტომაც კომპანიები დიდ ყურადღებას უთმობენ ადამიანისეულ კაპიტალს, როგორც კონკურენტუნარიანობის მთავარ ფაქტორს. მაღალი ცოდნის მქონე თანამშრომელი კომპანიის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია და, ამავდროულად, ინვესტიციების მიზიდვის ეფექტიანი ფაქტორია. თანაც სწორედ ადამიანები და მათი კრეატიული იდეებია კომპანიის წინსვლის და მოგების საწინდარი.

მაღალტექნოლოგიური წარმოების კუთხით, საქართველო ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია. ამ ჩიხიდან გამოსასვლელად აუცილებელია სახელმწიფოს მიერ მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, კერძოდ კი, ინვესტიციების მოზიდვა და ინვესტირება მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, მათი მუდმივი დატრენინგება, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქციის წარმოება, რაც კონკურენტულ ბრძოლაში უდავო წარმატებას მოგვითმის, ასევე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარება, სწორი საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება, საინვესტიციო კლიმატის შექმნა, საკანონმდებლო ბაზის მონესრიგება ამ კუთხით, ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნა, რაც ჩვენი ქვეყნიდან „ტვინების გადინებას“ შეამცირებს. ეს ყველაფერი კი მიღწევადაა, თუ სახელმწიფო პრიორიტეტს მიანიჭებს მისთვის ყველაზე ძვირფას და უნიკალურ სანარმოო რესურსს - ადამიანს, ვინაიდან სწორედ ადამიანია ის მამოძრავებელი ღერძი, ვისაც შეუძლია, შექმნას ახალი და იყოს ნოვატორი მსოფლიო ბაზარზე. ხოლო ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს.[7.გვ.9.]. ყოველივე ამის გამო ჩვენ ვამდიდრებთ იმ „სხვას“, ამით, ნებისთი თუ უნებლიედ ხელს ვუწყობთ ჩვენი ქვეყნის სულ უფრო ჩამორჩენას და გაღარიბებას. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე თავის დროზე აღნიშნავდა, „ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ყავს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ შემოქმედ, მცოდნე, არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებური აზროვნების, უფრო სწორად კრეატიული კონკურენტუნარიანი ცოდნის მატარებელ მუშაკს შეუძლია უშუალოდ შექმნას ახალი, სხვისგან განსხვავებული პროდუქტი [8.].

გლობალიზაციის ერთ-ერთი პოზიტიური შედეგია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ახლა ერთმა განვითარებადმა ქვეყანამ წარმატებას და ეკონომიკურ ზრდას სწორედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით მიაღწია. ეს საკითხი საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია, ინვესტიციების

ჩადება მოხდეს ადამიანისეულ კაპიტალში. გლობალიზაციის პირობებში, როცა კონკურენცია ასე მძაფრია, განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს ცოდნას, შემოქმედებითობას და შემოქმედ ადამიანს - ახლის შექმნის სანყისს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს. | ადგილზე სწორედ ადამიანისეული კაპიტალი - შემოქმედებითი ადამიანი უნდა იდგეს. ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა, მას შეუძლია, მოუტანოს სახელმწიფოსა და ბიზნესს უდიდესი წარმატება, თუ მისი ძალისხმევა მიმართული იქნება ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამიტომაც ინვესტიციები ჩვენს საუკუნეში, პირველ რიგში, სწორედ ადამიანში უნდა ჩაიდოს - მის დატრენინგებაში, სწავლასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. შედეგად კი მივიღებთ კონკურენტუნარიან და მაღალი მოგების მქონე ბიზნესს, ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოს და რეალიზებულ და სრულფასოვან პიროვნებას.

### დასკვნა

ამრიგად, შემოქმედებითი ადამიანია სწორედ ის მთავარი ბერკეტი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია პროგრესულ ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად, რათა წარმატებას მიაღწიოს ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორც საქართველოა და თავისი ნიშა იპოვოს მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში. ადამიანისეული რესურსის, ადამიანური კაპიტალის, შემოქმედებითი ადამიანის და, ზოგადად, ადამიანის უნარისა და ცოდნის გამოყენების გარეშე ვერ განვითარდება ეკონომიკა და ქვეყანა ვერ მიაღწევს წარმატებას დღევანდელი მძაფრი კონკურენციის დროს. საჭიროა, დავსახოთ გზები ადამიანური რესურსების განვითარებისა და ეკონომიკაში მისი სწორად გამოყენებისათვის, ასევე სწორი საინვესტიციო-საინოვაციო პოლიტიკის შესამუშავებლად ადამიანისეული კაპიტალის სფეროში.

### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. რევაზ შენგელია - კრეატიული ადამიანი, როგორც თვითმზარდი ღირებულება, ჟ. „ეკონომიკა“, №5-6, 2016;
2. რევაზ შენგელია- „ ადამიანისეული კაპიტალი - ინვესტირების განსაკუთრებული სფერო და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრესი პირობა“, ჟ „ეკონომიკა“, №11-12, 2016;
3. ა. სიჭინავა - „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“, მე-13 თავი „ცოდნის ეკონომიკისა და მართვის მეთოდოლოგია“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, თბილისი, 2014
4. როზეტა ასათიანი . გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო, გამომცემლობა „სი-ახლე“, თბილისი, 2010
5. ლამარა ქოქიაური „ინოვაციები“, თბილისი, 2016
6. გურამ ჯოლია „კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება“ მონოგრაფია, თბილისი, 2016
7. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2016წ.;
8. ჟურნალი „ეკონომიკა“, #3-4, 2017წ.; 9. МАХЛУП Ф.Ю. ПРОИЗВОДСТВО И РАСПРОСТРАНЕНИЕ ЗНАНИЙ В США, М, ПРОГРЕСС, 1966, С.35;